განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22.06.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 28.07.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	211349192

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ტურიზმის ბაკალავრი 1015
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა დევიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა ძიძიგური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ✓ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციაზე წარმოდგენილია პირველად. პროგრამა განხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე.

„მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ პროგრამის მიზანია მოამზადოს მუნიციპალური, რეგიონალური და საერთაშორისო დონის შრომის ბაზარზე ორიენტირებული ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მთის მდგრადი ტურიზმის თეორიებისა და პრინციპების მცოდნე სპეციალისტი, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს გაანალიზოს, შეაფასოს, ჩამოაყალიბოს არგუმენტირებული დასკვნები მთის მდგრადი ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულ დარგებში.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს სავალდებულო 220 კრედიტსა და თავისუფალ კომპონენტების 20 კრედიტს. თითოეული სემესტრის მოცულობა არის - 30 ECTS კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი).

- ✓ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 22 ივნისს. ვიზიტამდე შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (ეკა დევიძე, ეკა ლეკაშვილი, გვანცა ძიძგური), შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ თანმხლები დოკუმენტაციის ირგვლივ არსებული მოსაზრებები შეაჯერეს. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის საორიენტაციო კითხვები, რომელიც აკრედიტაციის ვიზიტის დროს 22 ივნისს დაისვა ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თვალსაზრისით.

2020 წლის 22 ივნისს, აკრედიტაციის (ექსპერტთა) ვიზიტი დღის წესრიგის მიხედვით დაიწყო. ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან მიმდინარეობდა დღის წესრიგით გათვალისწინებული შესაბამისი დროის და ინტერვალის დაცვით, კერძოდ: შეხვედრა უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ(ებ)თან, პროგრამის ხელმძვანელ(ებ)თან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, შეხვედრა ფაკულტეტიდ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებელი ობიექტების წარმომადგენლებთან. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – ბიბლიოთეკა (წიგნადი ფონდი), აუდიტორიები და ა.შ. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში დიალოგის რეჟიმით. რესპონდენტები ამომწურავად და დეტალურად პასუხობდნენ ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებს.

- ✓ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის“ მიზანია მოამზადოს მუნიციპალური, რეგიონული და საერთაშორისო დონის შრომის ბაზარზე ორიენტირებული ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მთის მდგრადი ტურიზმის თეორიებისა და პრინციპების მცოდნე სპეციალისტი, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს გაანალიზოს, შეაფასოს, ჩამოაყალიბოს არგუმენტირებული დასკვნები მთის მდგრადი ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულ დარგებში. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები სრულად მოიცავს დადგენილ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს და მკაფიოდ ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა, პროგრამის მიზანი შეესაბამისობაშა ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმასთან

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის: ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა და გამოიმუშაოს ის უნარები, რაც აცილებელია ტურიზმის ინდუსტრიაში წარმატებით დასაქმებისთვის.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს N 178/ნ ბრძანების საფუძველზე, აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული ან რუსული); 3. ისტორია ან მათემატიკა. გამოცდების შედეგების საფუძველზე. პირთა პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე წინაპირობები და პროცედურები ხელმისწავდომია და საჯარო.

პროგრამაში ენობრივი კომპონენტის ნაწილი, სავალდებულო თუ არჩევითი სასწავლო კურსები აგებულია იერარქიული საფეხურების დაცვით, გათვალისწინებულია წინაპირობებიც. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი დადგენილების შესაბამისად, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან და მოიცავს: სავალდებულო სასწავლო კურსებს - 200 კრედიტი; საველე პრაქტიკას – 10 კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომს – 10 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტების არჩევით სასწავლო კურსებს – 20 კრედიტი.

სტუ-ს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციებში. აკადემიური პერსონალი კურირებას უწევს სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, მათ ჩართულობას სამეცნიერო-პრაქტიკული სახის პროექტების განხორციელებაში.

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი. მექანიზმი ითვალისწინებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. აღნიშნულ პროცესში ხდება ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.

- ✓ **რეკომენდაციები**

რეკომენდებულია:

- ✓ შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება სასწავლო კურსების სპეციფიკა,
- ✓ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს. კურიკულუმი/სასწავლო გეგმაში ასახული სასწავლო კურსები მეტად უნდა პასუხობდეს დარგის სპეციფიკას/მოთხოვნებს: იგულისხმება მიმართულება: მთის მდგრადი ტურიზმი - ახალი ნიშა, რომელიც წახალისებული და მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ (2019 წლის 4 აპრილის #751 საქართველოს მთავრობის განკარგულება ,,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“).

- ✓ დაზუსტდეს სასწავლო კურსების სახელწოდებები, როგორიცაა: ტურიზმის შესავალი, კლიენტთა მომსახურება, მთის უსაფრთხო ტურიზმი, მთის მდგრადი ტურიზმის სტატისტიკის საფუძვლები, ტურიზმი მთის რეგიონებში, საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია.
- ✓ გადამოწმდეს კურიკულუმში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები
- ✓ კურიკულუმში დამატებით გათვალისწინებულ იქნას ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: ბრენდინგი, მომხმარებლის ქცევა, ლოჯისტიკა, კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა და ეკოლოგია, კურორტოლოგია, დაზღვევა და უსაფრთხოება, ბიზნესის სამართლებრივი გარემო, ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა,
- ✓ გადამოწმდეს სასწავლო კურსების: ,,ტურიზმი მთის რეგიონებში, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა" სილაბუსების შინაარსი საკითხების განმეორების/დაფარვის გამორიცხვის თვალსაზრისით
- ✓ საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობად გარდა საველე პრაქტიკისა განისაზღვროს დარგის/სპეციალობის სავალდებულო კურსებიც
- ✓ პრაქტიკის განმახორციელებლი ობიექტის პროფილის განსაზღვრა წარმოდგენილი პროგრამის (სამთო ტურიზმი, მდგრადი განვითარება) სპეციფიკიდან გამომდინარე
- ✓ გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების და მათი გამოყენების წესების შესახებ.
- ✓ პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლების აქტიური ჩართვა.
- ✓ სტუდენტების და კურდამთავრებულების პროგრამის განვითარების პროცესში ჩართვის მექანიზმის ამოქმედება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია, დარგის ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების მიერ პროგრამის კოლეგიალური შეფასების უზრუნველყოფა.
- ✓ სასურველია შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, სადაც, ასევე გათვალისწინებული იქნება სასწავლო კურსების სპეციფიკა

✓ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

თვითშეფასების კითხვარის და ადმინისტრაციის წარმომადგენელებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდის ფარგლებში გათვალისწინებულია განსაზღვრული თანხის გამოყოფა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტითვის, მათ შორის პროგრამების მოსამზადებლად (2019 წლის 4 აპრილის #751 საქართველოს მთავრობის განკარგულება ,,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ")

✓ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს მთიანი რეგიონების მოსახლეობის სიღარიბის დაძლევისა და მთაში მდგრადი სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური გარემოს განვითარების ხელშეწყობის მიზნით ფართო პროფილის, საერთაშორისო სტანდარტის, ერთიან ევროპულ სამთო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, და გაეროს მდგრადი განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, შეიქმნა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო ინტერდისციპლინური პროგრამა „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“. უნდა აღინიშნოს, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციაზე წარმოდგენილია პირველად და როგორც ყველაზე აქტუალური და ინოვაციური მიმართულება მხარდაჭერილია საქართველოს მთავრობის #751 განკარგულებით. საგანმანათლებლო პროგრამა „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის“ მიზანია მოამზადოს მუნიციპალური, რეგიონული და საერთაშორისო დონის შრომის ბაზარზე ორიენტირებული ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მთის მდგრადი ტურიზმის თეორიებისა და პრინციპების მცოდნე სპეციალისტი, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს გაანალიზოს, შეაფასოს, ჩამოაყალიბოს არგუმენტირებული დასკვნები მთის მდგრადი ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულ დარგებში. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები სრულად მოიცავს დადგენილ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს და მკაფიოდ ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა, პროგრამის მიზანი შეესაბამება ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ○ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა, 2018-2024 წწ. https://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024_.pdf ○ შრომის ბაზრის კვლევის შედეგები ○ გამოკითხვის შედეგები ○
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის: ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა და გამოიმუშაოს ის უნარები, რაც აცილებელია ტურიზმის ინდუსტრიაში წარმატებით დასაქმებისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სწავლის შედეგების გასაზომად საჭიროებს მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს, რაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პრაქტიკულად არ მომხდარა გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა ახალია, თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია მექანიზმი, თუ როგორ უნდა შეფასდეს პროგრამის სწავლის შედეგები და როგორ უნდა მოხდეს შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, ითვალისწინებს მომიჯნავე დარგის/პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რეკომენდაციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები, თუმცა სასურველია თითოეული სწავლის	

შედეგისთვის შემუშავდეს მექანიზმი კურიკულუმში ასახული სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს პროგრამის სწავლის შედეგებს, ანალიზი ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პირებთან ერთად განიხილავს შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი" ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში ○ გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება სასწავლო კურსების სპეციფიკა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს N 178/ნ ბრძანების საფუძველზე, აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული ან რუსული); 3. ისტორია ან მათემატიკა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;პირთა პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე წინაპირობები და პროცედურები ხელმისწავდომია და საჯაროა (ვებგვერდი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში ○ უსდ-ს ვებ გვერდი ○ გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი დადგენილების შესაბამისად, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან და მოიცავს: სავალდებულო სასწავლო კურსებს - 200 კრედიტი; საველე პრაქტიკას – 10 კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომს – 10 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტების არჩევით სასწავლო კურსებს – 20 კრედიტი. პროგრამაში ენობრივი კომპონენტის ნაწილი, სავალდებულო თუ არჩევითი სასწავლო კურსები აგებულია იერარქიული საფეხურების დაცვით, გათვალისწინებულია წინაპირობებიც. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. რაც შეეხება პროგრამის სახელწოდებას, სასურველია ის უფრო მეტად პასუხობდეს პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს. კურიკულუმში/სასწავლო გეგმაში ასახული სასწავლო კურსებში წარმოდგენილი თემატიკა უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს: იგულისხმება მიმართულება: მთის მდგრადი ტურიზმი - ახალი ნიშა, რომელიც წახალისებული და მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ (2019 წლის 4 აპრილის #751 საქართველოს მთავრობის განკარგულება „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“). პროგრამის შინაარსი ორიენტირებული უნდა იყოს მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე - ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა (სწრაფი და ეფექტური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რასაც განაპირობებს ეკონომიკის რეალური

სექტორის განვითარება (წარმოება); ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას; გარემოს უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილება და ა.შ.). ასევე, მიზანშეწონილია დაზუსტდეს სასწავლო კურსების სახელწოდებები, როგორიცაა: ,,ტურიზმის შესავალი, კლიენტთა მომსახურება, მთის უსაფრთხო ტურიზმი, მთის მდგრადი ტურიზმის სტატისტიკის საფუძვლები, ტურიზმი მთის რეგიონებში, საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია და გადამოწმდეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები“ და კურიკულუმში დამატებით გათვალისწინებულ იქნას ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: ბრენდინგი, მომხმარებლის ქცევა, ლოჯისტიკა, კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა და ეკოლოგია, კურორტოლოგია, დაზღვევა და უსაფრთხოება, ბიზნესის სამართლებრივი გარემო, ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, გადამოწმდეს სასწავლო კურსების: ,,ტურიზმი მთის რეგიონებში, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა“ სილაბუსების შინაარსი საკითხების განმეორების/დაფარვის გამორიცხვის თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში ○ უსდ-ს ვებ გვერდი ○ გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები: **რეკომენდებულია:** ✓ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს. კურიკულუმი/სასწავლო გეგმაში ასახული სასწავლო კურსები მეტად უნდა პასუხობდეს დარგის სპეციფიკას/მოთხოვნებს: იგულისხმება მიმართულება: მთის მდგრადი ტურიზმი - ახალი ნიშა, რომელიც წახალისებული და მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ (2019 წლის 4 აპრილის #751 საქართველოს მთავრობის განკარგულება ,,მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“). ✓ დაზუსტდეს სასწავლო კურსების სახელწოდებები, როგორიცაა: ტურიზმის შესავალი, კლიენტთა მომსახურება, მთის უსაფრთხო ტურიზმი, მთის მდგრადი ტურიზმის სტატისტიკის საფუძვლები, ტურიზმი მთის რეგიონებში, საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია. ✓ გადამოწმდეს კურიკულუმში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები ✓ კურიკულუმში დამატებით გათვალისწინებულ იქნას ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: ბრენდინგი, მომხმარებლის ქცევა, ლოჯისტიკა, კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა და ეკოლოგია, კურორტოლოგია, დაზღვევა და უსაფრთხოება, ბიზნესის სამართლებრივი გარემო, ბიზნეს ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.

- ✓ გადამოწმდეს სასწავლო კურსების: ,,ტურიზმი მთის რეგიონებში, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა“ სილაბუსების შინაარსი საკითხების განმეორების/დაფარვის გამორიცხვის თვალსაზრისით
- ✓ საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობად გარდა საველე პრაქტიკისა განისაზღვროს დარგის/სპეციალობის სავალდებულო კურსებიც

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის: ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ პროგრამის კურიკულუმში/საგნობრივ დატვირთვაში გათვალისწინებულია: 5 კრედიტიანი - 33, 6 კრედიტიანი – 4 და 4 კრედიტიანი – 4 სასწავლო კურსი, 10 კრედიტიანი პრაქტიკა, 10 კრედიტიანი საბაკალავრო ნაშრომი. სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს.საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს სავალდებულო 200 კრედიტსა და თავისუფალი კომპონენტების 40 კრედიტს.

პირველი სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის 12 სავალდებულო სასწავლო კურსს (60 კრედიტი).

მეორე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის 12 სავალდებულო სასწავლო კურსს (60 კრედიტი), რომელთაგან 5 კრედიტი არის არჩევითი, ხოლო 55 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსები.

მესამე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემეტრის

განმავლობაში შეისწავლის 12 სასწავლო კურსს (60 კრედიტი), რომელთაგან 45 კრედიტი სავალდებულოა, (მათ შორის 2 არჩევითი საგანი, სტუდენტს ეძლევა საშუალება ან გააძლიეროს მის მიერ უკვე ნასწავლი უცხოური ენა არ აირჩიოს მისთვის სასურველი მეორე ევროპული ენა, რომლის სწავლის შესაძლებლობა ეძლევა A 1.1 დონიდან. **მეოთხე სასწავლო წლის ხანგრძლივობაა** 2 სემესტრი (40 კვირა). სტუდენტი ორი სემეტრის განმავლობაში შეისწავლის 10 სასწავლო კურსს (60 კრედიტი), რომელთაგან 3 არჩევითი საგანია, ერთი სასწავლო კურსი არის თემატური პროექტით ასევე სტუდენტები გაივლიან საველე პრაქტიკას და შეასრულებენ საბაკალავრო ნაშრომს, თითოეული 10 კრედიტის მოცულობით. გარდა ამისა მათ შეთავაზებული აქვთ თავისუფალი კომპონენტები 20 კრედიტის მოცულობით. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა უზრუნველყოფს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში ○ უსდ-ს ბიბლიოთეკა, წიგანდი ფონდი ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციებში. აკადემიური პერსონალი კურირებას უწევს სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, მათ ჩართულობას სამეცნიერო-პრაქტიკული სახის პროექტების განხორციელებაში.

პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. პროგრამაში არსებული პრაქტიკის კომპონენტისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია პრაქტიკის მიზანი, ხანგრძლივობა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა. რეკომენდებულია პრაქტიკის განმახორციელებლი ობიექტის პროფილის შერჩევა წარმოდგენილი პროგრამის (დარგის სპეციფიკა) გათვალისწინებით

ცალკეულ სასწავლო კურსებში უზრუნველყოფილია სტუდენტებისათვის პრაქტიკული სამუშაოები, რომელის გაღრმავებულია კვლევითი კომპონენტის-კვლევის ჩატარებისას საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პირობებში, რაც აძლიერებს სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკულ უნარს და ხელს უწყობს პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირებას და განვითარებას, აცნობს სტუდენტებს პლაგიატის შესახებ ზოგად დებულებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ-ის სამეცნიერო ნაშრომების კრებული http://publishhouse.gtu.ge/ge/archive/shroma
- სტუ-ის სამეცნიერო ჟურნალები http://publishhouse.gtu.ge/ge.archive/techno
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- სტუ-ის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარების და შეფასების წესის შესახებ
- სტუ-ში პლაგიატის შემოწმების წესი
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018 წელს ჩატარებული სამცნიერო სამუშაოების ანგარიში hppps://gtu.ge/Science-Dep/Angarishi 2018. Php

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია პრაქტიკის განმახორციელებლი ობიექტის პროფილის განსაზღვრა წარმოდგენილი პროგრამის (სამთო ტურიზმი, მდგრადი განვითარება) სპეციფიკიდან გამომდინარე

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი" სწავლება- სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს (ბაკალავრიატი), კურსის შინაარს და სწავლის შედეგებს, სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც ასახულია სილაბუსებში: კერძოდ: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) , შემთხვევების შესწავლა (Case study), დემონსტრირება, ანალიზი, სინთეზის, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი"
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით. დადებითი შეფასებებია: (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია: (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ, სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში), ასევე მოცემულია ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. სასწავლო კურსებში ცოდნის შეფასების 100 ქულიანი სკალა მოიცავს ორ კომპონენტს: შუალედური შეფასება (მაქსიმუმ 60 ქულა) და დასკვნითი

გამოცდა (მაქსიმუმ 40 ქულა). შუალედური შეფასების ფორმებია - მიმდინარე აქტივობები (მაქსიმუმ 30 ქულა) და შუასემესტრული გამოცდა (მაქსიმუმ 30 ქულა). შეფასების თითოეულ ამ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება - 15 ქულა. შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30. მინიმალური დადებითი შეფასებაა 7,5 ქულა. დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა 10. სტუდენტებს საშუალება აქვთ ცოდნის შეფასების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამიდან, სილაბუსებიდან, კონკრეტული საგნის პროფესორის ან პროგრამის ხელმძღვანელისაგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ○ სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები) ○ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის № 98 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ https://gtu.ge/Study-Dep/ ○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge/2019_2020/I/B/info
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად საქართველოს ტექნოკურ უნივერსიტეტში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება; უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით; სწავლის დაწყებისთანავე პედაგოგი აწვდის სტუდენტს ინფორმაციას სილაბუსით გათვალისწინებულ საკონსულტაციო მომსახურეობაზე. ყოველი სემესტრის სასწავლო ცხრილის ფორმირებისთანავე, პედაგოგი ადგენს ინდივიდუალურ საკონსულტაციო გრაფიკს, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის, როგორც ონლაინ რეჟიმში, აგრეთვე გამოკრულია შესაბამის დეპარტამენტებში თვალსაჩინო ადგილზე. ონლაინ რეჟიმში პედაგოგი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის მეშვეობით თითოეული ჯგუფის გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას დაგეგმილი კონსულტაციების, გამოცდების განრიგისა და სხვათა შესახებ. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით სტუ-ში ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU-tables (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია), რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ჩვენების შესაძლებლობა.

დეპარტამენტების სპეციალისტები მონაწილეობენ დეპარტამენტში სწავლისა და მეცნიერული საქმიანობისათვის სათანადო პირობების შექმნაში; კოორდინირებას უწევენ სტუდენტებს ერთად შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარებისას; ეხმარებიან ფაკულტეტების სასწავლო პროცესების მართვის სამსახურთან ერთად სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში. სტუ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას, თუმცა მომიჯნავე ფაკულტეტის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტები ნაკლებად არიან ჩართული სამეცნიერო კონფერენციებში და არ აქვთ ინფორმაცია სამეცნიერო რესურსებზე, ისინი ნაკლებად ინტერესდებიან საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობით ენობრივი ბარიერის გამო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ პროგრამაში ენობრივი კომპონენტი გაძლიერებულია, იერარქიული საფეხურების დაცვით არის წარმოდგენილი და დონეების მიხედვით დაშვების წინაპირობები ლოგიკური და თანმიმდევრულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ ○ სტუ-ის სტუდენტური თვითმმართველოსბი დებულება ○ სტუ-ის სოციალურ საკითხთა, სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება ○ საგანმანათლებლო პროგრამა „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“ ○ სასწავლო კურსის პროგრამები სილაბუსები ○ სტუ-ში აკადემიური დატვირთვის გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია ○ პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ ინსტრუქცია ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ - ში შემუშავებულია და მოქმედებს ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“, რომელიც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვას და ჩართვას პროგრამების განხორციელებაში. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს მათი პროფესიული განვითარების ღონისძიებებსაც. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 38 აკადემიური და 4 მოწვეული პერსონალი. პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში 99-ს შეადგენს. აქედან 33 ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომი, 24 საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომი, 14 ადგილობრივ კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენება, 18 საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებულო მოხსენება და 10 სხვა სამეცნიერო/კვლევითი აქტივობაა. ყოველსემესტრულად ადმინისტრაცია განსაზღვრავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემას და იმავდროულად იღებს ინფორმაციას აკადემიური და მოწვეული

პერსონალისგან სხვა უნივერსიტეტებში მათი დატვირთვის შესახებ. ჯამში ეს ერთობლივი აკადემიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 1100 საათს. აღნიშნული პროცესი ხორციელდება ,,პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ საფუძველზე. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს. ამათან, აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობა და პირობები აკადემიური საბჭოს წარდგინებით მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. კერძოდ, სტუ-ში თანამშრომლების მიღება ხორციელდება ღია და გამჭირვალე კონკურსის საფუძველზე, სტუ-ის წესდებით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. საკონკურსო პირობებით მკაფიოდ არის განსაზღვრული მოთხოვნები, რომლებიც წარედგინება აკადემიური პოზიციის დაკავების მსურველს, როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით, ისე შესასრულებელი ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

კონკურსში გამარჯვების შემდეგ აკადემიური პერსონალის სტუ-ისთან აფორმებს აფილირების ხელშეკრულებას.

ამასთან, დამტკიცებულია თითოეული აკადემიური და ადმინისტრაციული/დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობის სამუშაო აღწერილობა და ვალდებულებები.

აკრედიტაციის ჯგუფმა გადაამოწმა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და დაადგინა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნული აკადემიური პერსონალის შემთხვევაში დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებით და კომპეტენციით.

პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს როგორც პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს, ასევე აქვს მსგავსი საბაკალავრო პროგრამის ეფექტიანი მართვის მრავალწლიანი გამოცდილება. იგი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავების, ასევე თვითშეფასების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ წარდგენილი მოთხოვნები განისაზღვრება სტუ-ის აკადემიური საბჭის დადგენილებით N469 (10.06.2011) ,,სტუ - ის საგანამანათლებლო პროგრაის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღინიშნა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მაღალი პროფესიონალიზმის, გულისხმიერების საკითხი და მზაობა სასწავლო პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად.

პროგრამას ემსახურება 5 ადმინისტრაციული და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალი. აკადემიური საბჭოს დადგენილების N 01-05-04/91 (19.04.2019) საფუძველზე უნივერიტეტის ბაზაზე იგეგმება ინტერდისციპლინური მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის შექმნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- თვითშეფასების კითხვარი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსებს მართვის პოლიტიკა და სტრატეგია;
- პროგრამი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ინტერვიუ აკადმიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის პროგრამის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება მის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციაზე. ზოგადად აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტის მენეჯმენტის რეგულარული ყურადღების საკითხია. კერძოდ, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელშიც პრიორიტეტულია პერსონალის პროფესიონალური განვითარების საკითხი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასების ინსტრუმენტების, როგორებიცაა ადამიანური რესურების პროფესიული საქმიანობის შეფასება წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო-აკადემიური აქტივობის თვითშეფასების, ასევე, ლექცია-სემინარების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებს დასწრების, ან ვიდოჩანაწერის შეფასების საფუძველზე. ასევე, წარმოდგენილი იქნა სასწავლო კურსების შეფასების, პედაგოგების შეფასების კითხვარები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით უნივერსიტეტის მენეჯმენტი ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასება საერთო შეფასების 40% - ია. შეფასების 40 % მოდის სამეცნიერო აქტივობაზე, ხოლო სტუდენტებისთვის გაწეული სხვა საქმიანობა 20%-ით ფასდება. შეფასების პროცესში ჩართულნი არიან დეპარტამენტის

ხელმძღვანელები, ხოლო პერსონალი ავსებს თვითშეფასების ანკეტას, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია პირის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობების შესახებ.
შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.
უნივერსიტეტში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. კერძოდ, გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ჩატარდა ტრენინგები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სილაბუსების შემუშავების, სწავლის შედეგებისა და მეთოდების საკითხებზე.
უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები, კერძოდ, მოტივაციის ასამაღლებლად არსებობს ბონუსების სისტემა, რომელიც სახელფასო დანამატის ფორმაში აისახება. ასევე, რამდენიმე წელია მოქმედებს საფაკულტეტო გრანტების სისტემა. მოთხოვნის საფუძველზე ხდება საკონფერენციო მივლინების, სტატიის დაბეჭდვის დაფინანსება და ა.შ. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საქმეების შესწავლისას და ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო და ეროვნულ სასწავლო - კვლევით პროექტებში, სემინარებსა და კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- თვითშეფასების კითხვარი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსებს მართვის პოლიტიკა და სტრატეგია;
- ინტერვიუ აკადმიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება. პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის მქონე აუდიტორიებით და ლაბორატორიებით, საბიბლიოთეკო, მატერიალური, ტექნიკური და პროგრამული რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
ვიზიტის პერიოდში მოხდა შემთხვევითი შერჩევითი გზით პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ლიტერატურის გადამოწმება. აღსანიშნავია, რომ ახალი პროგრამისთვის ითარგმნა და შემუშავდა მრავალი ახალი სასწავლო კურსი, რაც ექსკლუზიურ პირობებს ქმნის მოცემული პროგრამის სტუდენტებისათვის წვდომა ჰქონდეთ ახალ და თანამედროვე ცოდნაზე, მშობლიურ ენაზე. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, მათ შორის ელექტრონული მასალები, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
ბიბლიოთეკის დათვალიერების პროცესში დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს აქვს წვდომა უახლეს სამენიერო პერიოდულ გამოცემებთან და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან. თუმცა მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია აღნიშნული ბაზების და მათი მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ აკადმიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- XI სასწავლო კორპუსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების და მათი გამოყენების წესების შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების კითხვარის და ადმინისტრაციის წარმომადგენელებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდის ფარგლებში გათვალისწინებულია განსაზღვრული თანხის გამოყოფა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტითვის, მათ შორის პროგრამების მოსამზადებლად.
აკრედიტაციის ჯგუფის წევრებმა უნივერსიტეტის აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსის მ.შ-თან დაარზუსტეს პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტის მუხლები. კერძოდ, სტუდენტთა 20 კაციანი ჯგუფის მიღების პირობებში მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის პროგრამაზე საათების რაოდენობის მიხედვით ბიუჯეტიდან, რომელიც განისაზღვრა 45 000 ლარით, ხელფასებზე გამოყოფილია 19526 ლარი. ადმინისტრაციულ, საკომუნიკაციო და სხვა ხარჯებზე - 13640 ლარი. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტში გაწერილია უსდ-ის მიერ პროგრამის მხარდაჭერა. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე - ერთჯერადი, კერძოდ სტუდენტის სწავლის საფასური და განვითარების ფონდიდან შემოსული დაფინანსება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან.
- პროგრამის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების კითხვარი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შიდა ხარისხის შეფასება ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით N 01-05-04/01,(14.02.2018) - საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფორმების დამტკიცების შესახებ. აღნიშნული დადგენილებით წარიმართება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი. ასევე, ბაკალავრიატის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. აღნიშნული დადასტურებულია თვითშეფასების ანგარიშის თანდართული დოკუმენტებით. კერძოდ, პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყო ბიზნესის ადმინისტრირების, საინჟინრო მექანიკისა და სამშენებლო ექსპერტიზის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტები და კვების ინდუსტრიის დეპარტამენტი. მათ მოახდინეს შესაბამისი პროფილის სასწავლო კურსების

სილაბუსების შემუშავება. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველტოფის სამსახურმა შეაფასა შესაბამისი ფორმების მიხედვით სასწავლო კურსების სილაბუსები და პროგრამა. პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის შემუშვება მოხდა სპეციალური საინიციატივო ჯგუფის მიერ, ხოლო თვითშეფასების ანგარიშის მომზადება მათთან კოორდინაციაში განახორციელა თვითშეფასების ჯგუფმა. თითოეულ წევრს დაევალა თვითშეფასების ანგარიშისთვის ცალკეული სტანდარტის მიხედვით ინფორმაციის უზრუნველყოფა. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ასევე, დამსაქმებელი. აღნიშნული ჯგუფების მიერ ჩატარდა მუშაობა თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის თვალსაზრისით, რომელიც უკავშირდებოდა პროგრამებისა და სილაბუსების სრულყოფას. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩატარდა მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის პროგრამის სტრატეგიული დაგეგმარების SWOT ანალიზი. აღნიშნულ გამოკითხვაში ჩართული იყოო 3 დამსაქმებელი. ასევე, ჩატარდა ბაზრის კვლევა და შედეგები გათვალისწინებული იქნა პროგრამის შემუშავებისას. თუმცა, აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუს ფარგლებში განხორციელდა მხოლოდ ერთი დამსაქმებელის გამოკითხვა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის განვითარების პროცესში მიზანშეწონილია მოხდეს უფრო მეტი დამსაქმებლის აქტიური ჩართვა. მომიჯნავე დარგის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების შეფასების საკითხზე გამოკითხვის პროცესი არ ხდება სისტემატურად. მიზანშეწონილია, სტუდენტების და კურდამთავრებულების პროგრამის განვითარების პროცესში ჩართვის მექანიზმის ეფექტიანად ამოქმედება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების კითხვარი და თანდართული დოკუმენტები; ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელბთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებელთან; ○ ინტერვიუ მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ აკადემიური საბჭოს დადგენილება N 01-05-04/01(14.02.2018) - საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფორმების დამტკიცების შესახებ.
რეკომენდაციები: ○ პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებელების აქტიური ჩართვა. ○ სტუდენტების და კურდამთავრებულების პროგრამის განვითარების პროცესში ჩართვის მექანიზმის ამოქმედება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ზოგადად გარე ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით რეგულარულად ხორციელდება ხარისხის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება. პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პირების მხრიდან გამოითქვა მზაობა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების დაძლევის გზების და განვითარების ხედვების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, შესაძლებლობის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირების სააკრედიტაციო ვიზიტის დროს გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის. მექანიზმი ითვალისწინებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. აღნიშნულ პროცესში ხდება ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესის მიხედვით განსაზღვრულია შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე პროგრამის მოდიფიცირება და განახლება.

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების პროცესში აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ანალოგი არ არსებობს, თუმცა აქტიურად გამოიყენებენ პროგრამის განვითარების პროცესში ამ მიმართულებით მოღვაწე ქართველი და უცხოელი პროფესიონალიების კოლეგიალურ შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების კითხვარი და თანდართული დოკუმენტები;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელბთან;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება N 01-05-04/01(14.02.2018) - საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფორმების დამტკიცების შესახებ.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დარგის ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების მიერ პროგრამის კოლეგიალური შეფასების უზრუნველყოფა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: **32**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ეკა დევიძე 

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ეკა ლეკაშვილი

გვანცა ძიძიგური